საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2656 2017 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმის“ (2014 წ) ხელმოწერის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მოწონების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმის“ (2014 წ) ხელმოწერის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 12 დეკემბრის N364 ბრძანებულება;

ბ) განხორციელდეს ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების კონტრასიგნაცია.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**